

08/07/2024



MES 9 24 0000823230

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)

წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიზერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

შალვა მეგრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

წინო ცხოვრებად-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - სკოლა ახალი თაობა:

ანა უსტიაშვილი - სკოლის დირექტორი

დარეჯან გუგუბერიძე - სკოლის დირექტორის მოადგილე

ლიანა კობესაშვილი- სკოლის ხარისხის სპეციალისტი

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა:

ლეილა ბეგიაშვილი - დირექტორის მოადგილე

სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლა:

ნანა თვალაშვილი- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ- რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლა:

მარეხი ქათამაძე- დირექტორი

სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა:

ნუნუ კობალაძე- დირექტორის მოადგილე

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა:

ირინა ხელისუფალი - დირექტორი

სსიპ - აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლა:

ია მეფარიშვილი- დირექტორი

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლა:

გალინა ხუციშვილი- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის საჯარო სკოლა:

ია ძამუკაშვილი- დირექტორი

სსიპ - ქალაქ რუსთავის N15 საჯარო სკოლა:

შალვა კერვალიშვილი- დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს სკოლა ახალი თაობა:

ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

- ბ) ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 24 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს - სკოლა ახალი თაობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. „სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 ნოემბრის N1509232 გადაწყვეტილებასა და N1508902 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
3. „სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1749019 გადაწყვეტილებასა და N1747184 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
4. „სსიპ- რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ოქტომბრის N1320926 გადაწყვეტილებასა და N1315372 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
5. „სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

საბჭოს 2023 წლის 20 ნოემბრის N1579726 გადაწყვეტილებასა და N1576596 ოქმის მეხუთე საკითხში ცვლილების საკითხის განხილვა;

6. „სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1399135 გადაწყვეტილებასა და N1397838 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
7. „სსიპ - აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N1415018 გადაწყვეტილებასა და N1414716 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
8. „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N1422589 გადაწყვეტილებასა და N1421424 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
9. „სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ოქტომბრის N1431893 გადაწყვეტილებასა და N1429702 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
10. „სსიპ - ქალაქ რუსთავის N15 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ოქტომბრის N1431894 გადაწყვეტილებასა და N1429702 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
11. „სსიპ - დავით სარაჯიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N16 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ოქტომბრის N1431891 გადაწყვეტილებასა და N1429702 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, საბჭოს გადაწყვეტილებებსა და ოქმებში ცვლილებები განპირობებული იყო შემდეგით: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63 მუხლის თანახმად „2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვროს ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი“, შესაბამისად, 2023 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტებით ავტორიზებული სკოლების ვადად განისაზღვრა 9 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ცვლილებებთან დაკავშირებით ასევე განაცხადა, რომ საბჭოს წევრების მიერ მოხდა 2023-2024 წელს მიღებული გადაწყვეტილებების რევიზია.

გამომდინარე იქიდან, რომ საგნობრივი ექსპერტები სკოლის შეფასების პროცესს ახორციელებენ დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, წინასწარ შესწავლილი კურიკულუმის საფუძველზე, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა იმ სკოლებში სადაც მეორე სტანდარტის მონიტორინგი დანიშნული იყო ადგილზე ვიზიტით, შეიცვალოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტების შესწავლით, თუმცა

საჭიროების შემთხვევაში ექსპერტებს უნდა ჰქონდეს სკოლასთან ინტერვიუების ონლაინ რეჟიმში ჩატარების შესაძლებლობა.

1. შპს - სკოლა ახალი თაობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს - სკოლა ახალი თაობაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 13 და 14 მარტს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქუჩა N3-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 470 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 470- მოსწავლისთვის.

ლელა ჯაშმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ოთხივე სტანდარტი და ყველა კომპონენტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ასევე ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ არაფორმალური განათლება შპს „სკოლა ახალი თაობის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო. სკოლაში ფუნქციონირებდა მათემატიკის საშაბათო სკოლა, ასევე, მენტალური არითმეტიკის პროგრამა - I-VI კლასელი მოსწავლეებისათვის. დაწესებულებაში აქცენტი კეთდებოდა უცხოური ენების სწავლებაზე - ინგლისური ენის გარდა, მოსწავლეებს სთავაზობდნენ რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებს. სკოლაში ფუნქციონირებდა ჩინური და თურქული ენების უფასო წრეებიც. ექსპერტის განცხადებით, სკოლის ფიზიკური გარემო იყო მამოტივირებელი, განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე. კომფორტული ინფრასტრუქტურა, ფერადი კედლები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები სასწავლო პროცესს სახალისოს და საინტერესოს ხდიდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფს დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ჰქონდა ინფორმაცია სკოლაში მასწავლებელთა მობილობის მაღალი მაჩვენებლის შესახებ და მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეხუსტებინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული გარემოებები.

სკოლის დირექტორის, ანა უსტიაშვილის განცხადებით, აღნიშნული ფაქტის გამომწვევი მიზეზი იყო სკოლაში დასაქმებული მამიებელი მასწავლებლები, რომლებიც სტატუსის მოპოვების შემდეგ იცვლიდნენ სამუშაო ადგილს და გადადიოდნენ საჯარო სკოლაში. დირექტორის განცხადებით, სკოლა გეგმავდა ახალ შენობაში გადასვლას და პედაგოგთა ხელფასების მატებას, რაც ხელს შეუწყობდა მათთან ხანგრძლივ თანამშრომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მაღაზონიამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რჩევა კომპლექსური დავალებების პირობების შესახებ. კერძოდ, აღნიშნულში არ იყო დაზუსტებული ის კონკრეტული პროდუქტი, რაც მოსწავლეებს უნდა შეექმნათ დავალების ბოლოს. საბჭოს თავმჯდომარემ, სკოლის წარმომადგენელს, სთხოვა დაეზუსტებინა, რა იყო ამ საკითხის გაუმართაობის გამომწვევი მიზეზი.

დირექტორის მოადგილემ, დარეჯან გუგბერიძემ, განაცხადა, რომ კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით სკოლამ პედაგოგებს შესთავაზა ტრენინგები და მომავალი სასწავლო წლიდან აღნიშნული საკითხი გამოსწორებული იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა როგორ ხდებოდა დაწესებულებაში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, რაზეც დირექტორის მოადგილემ, დარეჯან გუგბერიძემ აღნიშნა, რომ სკოლა მასწავლებლებს სთავაზობდა ტრენინგებს სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით - ბულინგი, კლასის მართვა და ფსიქოლოგიური საკითხები. მომავალი სასწავლო წლიდან კი, ისინი აპირებდნენ მეტი ყურადღება დაეთმოთ სწავლების სტრატეგიების გაუმჯობესებისთვის.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, განაცხადა რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა მოსწავლის მობილობის შესახებ დოკუმენტი, სადაც მითითებული იყო, რომ განცხადების დაწერა შეეძლო მხოლოდ მოსწავლის მშობელს. საბჭოს წევრმა, სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, რატომ არ შეეძლო განცხადების დაწერა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.

დირექტორის მოადგილემ, დარეჯან გუგბერიძემ აღნიშნა, რომ მოცემულ დოკუმენტში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი და რეალურად განცხადების დაწერა შეეძლო, როგორც მოსწავლის მშობელს, ასევე მის კანონიერ წარმომადგენელს.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, რამდენჯერ იქნა განმსაზღვრელი შეფასება ჰქონდა სკოლას.

სკოლის წარმომადგენელმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის განმსაზღვრელი შეფასება იყო ათქულიანი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა ქულათა კონვერტაცია.

საბჭოს წევრის, შალვა მეკრავიშვილის, განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო დასკვნის მიხედვით, სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა ყველა რჩევა, დოკუმენტაციაში მაინც იკვეთებოდა გარკვეული შეუსაბამობები. კერძოდ, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები

არ იყო ადაპტირებული და არ ფიქსირდებოდა კონკრეტულად თუ რომელ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის იყო განკუთვნილი, ასევე შეფასების რუბრიკები იყო ზოგადი და არ მიემართებოდა საგნის სწავლების მიზნებს. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტებს და სთხოვა დაეზუსტებინათ, რამ განაპირობა მეორე სტანდარტის შეფასება, როგორც „შესაბამისი“.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ხათუნა ჯიმშიაშვილმა, განაცხადა რომ აღნიშნულ საკითხებზე გაცემული იყო რჩევები რომელიც ასახული იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, თუმცა კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ ყველა მათგანს გაითვალისწინებდნენ მომდენო სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავებისას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო ფსუტურმა განაცხადა, რომ ექსპერტებს ნამდვილად ჰქონდათ გაცემული რჩევა შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით, თუმცა სტანდარტის შესაბამისობა განპირობებული იყო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციით, ასევე გასაუბრებიდან ჩანდა რომ ისინი წინასწარ აცნობდნენ

მოსწავლეებს შეფასების წესებს. ამასთან პედაგოგები გამოირჩეოდნენ მაღალი მიმდებლობით და გამოთქვამდნენ მზაობას გამოესწორებინათ ყველა ის ხარვეზი, რაც საავტორიზაციო ვიზიტისას ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა ახალი თაობისავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 470 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:40.

დასრულების დრო: 16:45

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, შესაბამისად, შპს - სკოლა ახალ თაობას (ს/კ:406242123) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 470 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, ბეჟან კალანდაძის ქ. N3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, ბეჟან კალანდაძის ქ. N3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, ბეჟან კალანდაძის ქ. N3

2. „სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ

**ელ კაკაბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულე
ბების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 ნოემბრის N1509232 გადაწყვეტილებასა და N15089
02 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 07 ნოემბრის N1508902 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლას მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ოქტომბრიდან დაენიშნა მონიტორინგი ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმსა და N1509232 გადაწყვეტილებაში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ოქტომბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 ნოემბრის N1509232 გადაწყვეტილებასა და N1508902 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება, სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 ნოემბრის N1509232 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

შევიდეს ცვლილება, „სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 ნოემბრის N1509232 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 238146190) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.“

შევიდეს ცვლილება N1508902 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 238146190) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 650 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კაკაბეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კაკაბეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კაკაბეთი

საბჭომ 3.1, 3.4, 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

3. „სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1749019 გადაწყვეტილებასა და N1747184 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მაღაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, „სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლას მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი ადგილზე ვიზიტის ფორმით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმსა და N1749019 გადაწყვეტილებაში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1749019 გადაწყვეტილებასა და N1747184 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება, „სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1749019 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1749019 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლას (ს/კ: 231250507) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.“

შევიდეს ცვლილება N1747184 ოქმის მეექვსე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლას (ს/კ: 231250507) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1050 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თელავი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თელავი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თელავი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N1

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ: შენობის უსაფრთხოებისა და კონსტრუქციული მდგრადობის და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების, დასაქმებულთა ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩადენისთვის ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების ცენტრში წარდგენა.

4.,სსიპ- რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ოქტომბრის N1320926 გადაწყვეტილებასა და N1315372 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მაღაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 06 ოქტომბრის N1315372 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, „სსიპ- რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლას მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის სექტემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი ადგილზე ვიზიტის ფორმით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმსა და N1320926 გადაწყვეტილებაში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის სექტემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ- რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ოქტომბრის N1320926 გადაწყვეტილებასა და N1315372 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ- რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ოქტომბრის N1320926 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

შევიდეს ცვლილება „სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ოქტომბრის N1320926 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლას (ს/კ: 230053731) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.“

შევიდეს ცვლილება N1315372 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სსიპ- რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლას (ს/კ: 230053731) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1350 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.ზესტაფონი, რუსთაველის ქ.N6ა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.ზესტაფონი, რუსთაველის ქ.N6ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.ზესტაფონი, რუსთაველის ქ.N6ა

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 1.1, 1.2 და 3.3, 3.4, 3.5 კომპონენტებთან დაკავშირებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, ცენტრში წარმოადგინოს რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

5. „სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ნოემბრის N1579726 გადაწყვეტილებასა და N1576596 ოქმის მეხუთე საკითხში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 20 ნოემბრის N1576596 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლას მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი ადგილზე ვიზიტის ფორმით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმსა და N1579726 გადაწყვეტილებაში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის

შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ნოემბრის N1579726 გადაწყვეტილებასა და N1576596 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება , „სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ნოემბრის N1579726 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,“.

